განკარგულება:**g-37. 37250734**
თარიღი:**14/03/2025**

განკარგულება N8

14 მარტი 2025 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში განთავსდეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N1-ით განსაზღვრული, პრიორიტეტის საგზაო ნიშანი - 2.3. „დაუთმე გზა“, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

(სიტუაციური სქემა თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2. ამ განკარგულების თანახმად, დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი